დანართი

დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 28 თებერვლის №24 ბრძანებით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლებისთვის

შესავალი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე, კოლეჯის დამფუძნებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, პროფესიული სტუდენტების ჩართულობით, ითვალისწინებს ქვეყნის პრიორიტეტებსა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს და მიმოიხილავს სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი“) გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის ძირითად პრინციპებსა და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2023-2030 წლებისთვის.

განვითარების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს კოლეჯის სამუშაო დოკუმენტს, რომელიც საერთო ღირებულებებისა და პრინციპების გარშემო გაერთიანებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა სამინისტროს, სს „საქართველოს რკინიგზის“ და სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ შეთანხმებული მუშაობით ხელს შეუწყობს საერთო მიზნების მიღწევას პროფესიონალი კადრების მომზადების საკითხში.

სტრატეგიული გეგმა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯის თანამშრომლებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეაფასონ საკუთარი პროგრესი დასახული მიზნების მიღწევის გზაზე.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც კოლეჯი საკუთარ სამომავლო გეგმებს უზიარებს დაინტერესებულ ყველა მხარეს, რათა ჩართოს ისინი საქმიანობის შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესებში.

1. მისიის განაცხადი

კოლეჯის მისიაა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ინდუსტრიაში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის წინაპირობების შექმნა, რომელიც მიმართულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ;

კოლეჯის ხედვაა, სარკინიგზო ინდუსტრიაში იყოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება როგორც ქვეყანაში, ისე კავკასიის რეგიონში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, სასწავლო-სამეწარმეო მჭიდრო და მრავალფეროვანი პარტნიორობით, პროფესიონალ თანამშრომელთა გუნდითა და დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებით.

კოლეჯის ღირებულებებია:

- გუნდური მუშაობა;
- გამჭვირვალობა;
- პროგრესულობა და ინოვაციების მხარდაჭერა;
- ადამიანის უფლებათა დაცვა;
- ინტერნაციონალიზაცია.

2. ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვა

2.1. რკინიგზის კოლეჯის ისტორია

საქართველოში რკინიგზისთვის ტექნიკური პერსონალის მომზადება 1878 წლიდან ხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკუმში, როგორც უწყებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო შემდეგ, 1958 წლიდან კი სპეციალისტების მომზადება შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმში. გარდა ამისა, რკინიგზის პროფესიული კადრების მომზადების პროგრამებს ახორციელებდნენ ქ. თბილისში 31-ე და 126-ე, ხაშურის 109-ე და სამტრედიის 116-ე რკინიგზის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ქ. თბილისში შ. ელიავას სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის საგანმანათლებლო ბაზაზე ჩამოყალიბდა „რკინიგზის სასწავლო ცენტრი“, ხოლო 2002 წლის დეკემბრიდან 2008 წლის აგვისტომდე, ამავე ბაზაზე ფუნქციონირებდა „საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტი“, რომელიც წარმოადგენდა შპს „საქართველოს რკინიგზის“ სტრუქტურულ ერთეულს. იგი გაუქმდა 2008 წელს, გამოყვანილ იქნა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მეურვეობიდან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაფუძნებით ამავე ბაზაზე ჩამოყალიბდა „საქართველოს რკინიგზის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯი“, სამტრედიის ფილიალით. 2010 წელს კი ისიც გაუქმდა და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პარტნიორობით, ჩამოყალიბდა „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი“ სამტრედიის ფილიალით, რომელმაც 2011 წლის 25 იანვარს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიიღო პროგრამული ავტორიზაცია წარდგენილ 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 28 ოქტომბრის №410 დადგენილებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით „სარკინიგზო ტრანსპორტის საზოგადოებრივი კოლეჯი“ შეყვანილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში, სამტრედიის ფილიალი კი გაუქმდა.

2008 წლიდან დღემდე სს ,,საქართველოს რკინიგზა“, როგორც დამსაქმებელი ორგანიზაცია, უზრუნველყოფდა პროფესიული განათლების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტის, საწარმოო პრაქტიკის, განხორციელებას საკუთარი ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

2015 წელს სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ინიციატივით ხელახლა დადგა დამოუკიდებელი კოლეჯის შექმნის საკითხი, რომლის ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკა ჰარმონიზაციაში იქნებოდა სარკინიგზო ინდუსტრიასთან.

2.2. სტატუსი და ინსტიტუციური პარტნიორები

2015 წლიდან დაფუძნდა ახალი სასწავლო დაწესებულება - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი, რომელიც წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, და რომლის დამფუძნებლები არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სს ,,საქართველოს რკინიგზა“ და სსიპ ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“. კოლეჯის ძირითად მიზანს, წესდების თანახმად, წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამები), მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით „პროფესიული განათლების შესახებ“ და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შესახებ“, აგრეთვე, სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით.

კოლეჯის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სარკინიგზო ინდუსტრიისთვის პროფესიული პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა და მუდმივი სრულყოფა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის შემდეგი სამუშაო პრინციპების დაცვით:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - ,,სწავლა კეთებით“;
- დასაქმებაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება;

- თანამშრომლობითი ურთიერთობის, კომფორტული და ესთეტიკური სასწავლო გარემოს შეთავაზება;
- მოტივირებული პროფესიული განათლების მასწავლებლების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია;
- მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, ინოვაციურობა და პროგრესულობა;
- მოქალაქეთათვის პროფესიული განვითარებისა და წარმატებული კარიერისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობა.

2.3. კონტექსტის მიმოხილვა

პროფესიული განათლების განვითარება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხია. განათლების სისტემის ამ მიმართულების გაძლიერება აქტუალურია ადამიანური კაპიტალის განვითარების, შრომის ბაზარზე გარკვეულ სეგმენტებში დეფიციტის შევსების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და ასევე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელების თვალსაზრისით.

პროფესიული განათლებისადმი მზარდი ინტერესის ფონზე თვალსაჩინოა კოლეჯის პროფილური მიმართულებისადმი - სარკინიგზო ინდუსტრიისადმი ინტერესი საქართველოში, რომლის განვითარების მხარდაჭერა სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს.

სარკინიგზო ინდუსტრიისადმი ინტერესს განაპირობებს საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკა და მიზანი, გაძლიერდეს ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია. შესაბამისად, საქართველოს რკინიგზის წინაშე მიმდინარე ეტაპზე დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, ქვეყნისა და საერთაშორისო ტვირთბრუნვის ნაკადის ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით, აგრეთვე, ისტორიული პროექტის „თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის“ საერთაშორისო რკინიგზის მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სარკინიგზო ტრანსპორტის პროფესიონალი კადრების მომზადება.

ქვეყნის ხელისუფლების მიერ პროფესიული განათლებისადმი გაცხადებული მხარდაჭერისა და ვაუჩერული დაფინანსების პირობებში, აუცილებელია დამსაქმებლის, ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს რკინიგზაში მასობრივი პროფესიების პირველადი მომზადების, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების

დღევანდელი ვითარების საჭიროების ანალიზი და უახლოესი პერსპექტივების გათვალისწინებით, კონკრეტული შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს ახალ გარემოებაში, დამფუძნებლების მხრიდან სამმხრივი ხელშეწყობის პირობებში, საკუთარ შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების პოტენციალს, რამეთუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს რკინიგზა ერთობლივად ზრუნავენ როგორც სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სპეციალობების სტანდარტებისა და მოდულური პროგრამების შემუშავებაზე, ასევე, კოლეჯში სწავლების ხარისხის გარანტირებული მიღწევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისადა ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსებით უზრუნველყოფისთვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას კოლეჯი ითვალისწინებს იმ რისკებსაც, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გეგმის განხორციელების გზაზე და მზადაა დამფუძნებლებთან ერთად იმოქმედოს კოორდინირებულად მათი თავიდან აცილების მიზნით.

2.4. კოლეჯის განვითარების საფუძველი

კოლეჯის განვითარების მოლოდინებსა და საფუძვეს განაპირობებს რკინიგზის ტრანსპორტის ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სეგმენტად ჩამოყალიბება, სს „საქართველოს რკინიგზის“ დღევანდელი მდგომარეობა და ამ სფეროში ყოველწლიურად გაზრდილი სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე.

აღნიშნული მოსაზრება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

- დღეისათვის საქართველოს რკინიგზა ითვლება ერთერთ უმსხვილეს დამსაქმებლად 12 000-მდე დასაქმებულით, რომლის უმეტესობის სამუშაო არეალს წარმოადგენს სარკინიგზო ინდუსტრიის ტექნიკური სფერო;
- რკინიგზის თანამშრომელები პერიოდულად ექვემდებარებიან მომზადებას, გადამზადებას, სერტიფიცირებას და კვალიფიკაციის ამაღლებას;
- „თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის“ საერთაშორისო რკინიგზის მაგისტრალის ექსპლუატაციაში გაშვების მომენტისათვის საქართველოში ერთდროულად დასასაქმებელი იქნება 1500-მდე ტექნიკური სპეციალისტი;
- ქვეყანაში ტექნიკური მიმართულებით პროფესიული განათლების შეთავაზების სიმწირე, რაც განაპირობებს მომიჯნავე სექტორების დამსაქმებელთა დაინტერესებას კოლეჯთან თანამშრომლობის მიზნით;

- რკინიგზის ტრანსპორტისა და მომიჯნავე დარგებში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი, პროგრამები და მოიზიდოს დამატებითი ფინანსური რესურსები;
- 2019 წლის 6 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №188/ნ ბრძანებით დამტკიცდა „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, მიიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი ადრე მიღებული სამუშაო გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით. ამ მექანიზმის არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, მნიშვნელოვნად გაზარდოს კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობა და დააკმაყოფილოს მზარდი მოთხოვნა ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.

ამდენად, რკინიგზის ინდუსტრიის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მისი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფა ყოველწლიურად მოითხოვს პროფესიული კადრის რეზერვის ფორმირებასა და დასაქმებული პერსონალის ატესტაციას. აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კოლეჯი შეიმუშავებს ეფექტურ, დასაქმებაზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და ასევე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებს/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს,** რომლებიც განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და წარმოების პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მიერ, საქართველოს რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სწავლების მოდულური და დუალური მეთოდის გამოყენებით.

2.5. სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, ქსელური ინიციატივებისთვის და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

2.6. დონორი ორგანიზაციების ინტერესი

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს ისე საერთაშორისო დონორთა მხრიდან. კოლეჯი

ეფექტურად იყენებს ამ შესაძლებლობას განვითარების გეგმებში საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისთვის.

2.7. დამსაქმებელთა ინტერესი

დამსაქმებელთა მოტივაცია, ითანამშრომლონ პროფესიულ სასწავლებელთან, ერთობლივი ინიციატივების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. დამსაქმებელთან თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის.

ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს კოლეჯის წარმატებულ ფუნქციონირებას და მისი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

2.8. ორგანიზაციული მიმოხილვა

ამჟამად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც დუალურად და მოდულურად, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებული მიდგომით. მიუხედავად ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სწავლების დუალური მეთოდის დანერგვით კოლეჯის პრიორიტეტია, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება და/ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკურენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს საკუთარი მომავალი.

კოლეჯი გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის პერმანენტულ ზრდას, რომლის რესურსს წარმოადგენს 1600 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში სწავლების შესაძლებლობით. კოლეჯში დასაქმებულია 90 პროფესიული განათლების მასწავლებელი, 30 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

კოლეჯის მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სწავლებას განახორციელებს სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სპეციალურად გადამზადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებით, შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო გარემოში. კოლეჯში ყველა პროგრამისთვის

არსებობს პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო აუდიტორიები და სახელოსნოები. კოლეჯს უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შენობა-ნაგებობები და მიწის ფართი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს და შეესაბამება დაგეგმილ აქტივობებს.

კოლეჯი ორიენტირებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივ განვითარებაზე და საჭიროების შემთხვევაში რაოდენობრივ ზრდაზე.

2.9. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდად შერჩეული აქვს SWOT-ანალიზი:

SWOT ანალიზი

Strengths - ძლიერი მხარე
• კომპეტენტური და წარმომადგენლობითი დამფუძნებლები; • კოლეჯსა და საწარმოებში არსებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • სს „საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტის აქტიური მონაწილეობა კოლეჯის საქმიანობაში და მზაობა კოლეჯის წარმატებული საქმიანობის ხელშეწყობისთვის, რომელთანაც კოლეჯი უზრუნველყოფს უწყვეტ კავშირს დარგის სიახლეების მყისიერი ასახვისთვის მის მიერ განხორციელებულ პროგრამებში; • ქვეყანაში ერთადერთი პროფესიული კოლეჯი სარკინიგზო დარგში, რომელსაც ამ ეტაპისათვის არ ჰყავს კონკურენტები, რაც ზრდის დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ალბათობას. • წარმატებული კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისთვის ადეკვატური დასაქმების უზრუნველყოფა.
Opportunities - ორგანიზაციის შესაძლებლობები
• საქართველოში სარკინიგზო ინდუსტრიაში და მომიჯნავე დარგებში დასაქმებულთა დამფუძნებლის/დამსაქმებლის მოთხოვნით მომზადება/გადამზადების ეტაპობრივი საჭიროება;

- სარკინიგზო ინდუსტრიაში დასაქმებულთა მაღალი საშუალო ასაკი და მზარდი მოთხოვნა პროფესიების დაუფლებისადმი და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები;
- კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობა და კვალიფიციური რეზერვის შექმნა;
- კოლეჯის შესაძლებლობა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან, ინსტიტუციებთან, დაწესებულებებთან, კომპანიებთან და დონორ ორგანიზაციებთან, რომლის საფუძველზე სასწავლო პროცესში განხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მობილობის მაჩვენებლების გაზრდა, სასწავლო პროცესის მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- კოლეჯის წარმადობის სინქრონიზაციის შესაძლებლობა მოთხოვნასთან ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შესაბამისად. კოლეჯის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში არსებულ პროგრამებზე გამოშვების წლიური მაჩვენებლის გაზრდა, ხოლო ახალი პროფესიების შემთხვევაში - მათი შემუშავება და დანერგვა როგორც რკინიგზის ტრანსპორტის, ასევე მომიჯნავე დარგებში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ;
- ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის გამოყენებით კოლეჯის კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობის გაზრდა და კადრებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.

Weakness - სუსტი მხარე

- პროფესიული განათლების მიღებაზე დაბალი მოთხოვნა და მისი ნაკლებად პოპულარულობა;
- კოლეჯის ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურული განვითარებისთვის საჭირო ბაზის არქონა.

Threats - მოსალოდნელი საფრთხე/რისკები

- ძვირადღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/შევსების საჭიროება და ფინანსური მხარდაჭერის მოძიების სირთულე;
- გლობალური ან ადგილობრივი ფორსმაჟორული სიტუაციები (პანდემია და სხვ.).

ჩამოთვლილი სუსტი მხარეების, მოსალოდნელი საფრთხეების/რისკების შესამცირებლად კოლეჯი ითანამშრომლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საქართველოს რკინიგზასთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ყველა სხვა დაინტერესებულ პირთან/ ორგანიზაციებთან საკუთარი საქმიანობის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელებისთვის.

3. სტრატეგიული მიზნები

2023-2030 წლების განმავლობაში კოლეჯი ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით იმუშავებს:

პერმანენტულად იზრუნებს კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებაზე, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და ახლების შემუშავება/დანერგვაზე, დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად შექმნის და განავითარებს მოკლევადიან პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსებს, გაზრდის კურსდამთავრებულთა რაოდენობას, მათ შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობით;

2. აამოქმედებს საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმებს;

3. პერმანენტულად იზრუნებს კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არსებული პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებასა და ახლის მოზიდვაზე, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე, შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირებასა და განხორციელებაზე, დამატებითი შემოსავლების მოზიდვასა და ფინანსურ სტაბილურობაზე, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივირებასა და სტუდენტური სერვისების განვითარებაზე;

4. სასწავლო-სამეწარმეო, საერთაშორისო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით დანერგავს უახლეს ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს, აამოქმედებს ერთობლივ, გაცვლით და სასტიპენდიო პროგრამებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლებისთვის

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	შენიშვნა
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030				
	სტრატეგიული მიზანი №1 პერმანენტულად იზრუნებს კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებაზე, ცნობადობის გაზრდაზე, პროფესიული განათლების პოპულარიზაციასა და ხელმისაწვდომობაზე, სქესის, წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად მათ შორის შშმ და სსსმ პირების სრულფასოვან ჩართულობაზე და ინკლუზიური სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებაზე, შრომის ბაზრის, დამსაქმებლის და პროფესიული სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად ახალი პროგრამების შემუშავებაზე, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებაზე, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების დანერგვასა და განხორციელებაზე, კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდასა და მათი ღირსეული დასაქმების რეალური პირობების შექმნაზე, მათ შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებით;										
კოლეჯის ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან	+	+	+	+	+	+	+	გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, დაგეგმილი და განხორციელებული საინფორმაციო კამპანიები და	ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი		

თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების განხორციელება;								ერთობლივი ღონისძიებები;	იურისტი		
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ონლაინ პლატფორმაზე თვითშეფასების კითხვარის შევსება, მტკიცებულებების მომზადება და დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენა;		+	+	+	+	+	+	ონლაინ პლატფორმაზე შევსებული თვითშეფასების კითხვარი და წარდგენილი დოკუმენტაცია;	ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი იურისტი	-	-
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახლიდან მოპოვების მიზნით გეგმიური რეავტორიზაციის პროცესისთვის განაცხადის მომზადება და რეავტორიზაციის გავლა;					+	+	+	წარმატებით გავლილი გეგმიური რეავტორიზაცია და ახლიდან მინიჭებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი იურისტი მთავარი ბუღალტერი	-	-
შრომის ბაზრის მოკვლევა, არსებული მოთხოვნის, გამოკვეთილი საჭიროებებისა და სამომავლო ტენდენციის საფუძველზე განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, ახლის მომზადება;	+	+	+	+	+	+	+	ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, ანალიზი, მოდიფიცირებული და დასამატებლად მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელები	-	-

ახალი ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და დამატების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დასამტკიცებლად წარდგენა;	+	+	+	+	+	+	+	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნადი პროფესიებისთვის	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	-
თითოეული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ყველა საჭირო ყველა პირობისა და ადაპტირებული გარემოს განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;	+	+	+	+	+	+	+	პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, შშმ და სსსმ პირებისთვის არსებული სასწავლო და ადაპტირებული გარემოს განვითარება	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	-	-
კოლეჯის აკრედიტაცია მემანქანის ლიცენზიის გამცემ ორგანოდ აღიარებისთვის	+	+	+	+	+	+	+	აკრედიტაცია მემანქანის ლიცენზიის გამცემ ორგანოდ აღიარებისთვის	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, იურისტი, ხარისხის მართვის მენეჯერი	-	-
დამსაქმებლის მოთხოვნის შესაბამისად მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება/დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	შემუშავებული მოკლევადიანი სასერტიფიკატო მომზადება/გადამზადების პროგრამები და მათი განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი	-	-

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება	+	+	+	+	+	+	+	შემუშავებული საშუალო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი იურისტი	-	-
მოკლე ციკლის ასოცირებული ხარისხის პროგრამების შემუშავება/დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	შემუშავებული ასოცირებული ხარისხის პროგრამის და განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი იურისტი	-	-

პროფესიულ სტუდენტთა ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, კურსდამთავრებულების შერჩეული პროფესიის მიხედვით ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა	+	+	+	+	+	+	+	პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის დინამიკა, სასერტიფიკატო პროგრამების მონაწილეების რაოდენობის დინამიკა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით სს საქართველოს რკინიგზასთან და სხვა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა	ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი	დამოკიდებულია სს „საქართველოს რკინიგზასა“ და სხვა სარკინიგზო ინდუსტრიებში არსებულ ვაკანსიებზე	
განსახორციელებლი პროგრამის ხელმძღვანელების, პრაქტიკის ინსტრუქტორების შერჩევა-განსაზღვრა;	+	+	+	+	+	+	+	შერჩეული პროგრამის ხელმძღვანელები, პრაქტიკის ინსტრუქტორები	ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი	-	-
პროფესიული სტუდენტების მოზიდვის, პროფორიენტაციის საქმიანობისა და მარეგულირებელი დოკუმენტაციის სრულყოფა-განახლება;	+	+	+	+	+	+	+	პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მზარდი დინამიკა, შემუშავებული დოკუმენტაცია	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იურისტი	-	-
საჯარო სკოლებში პროფორიენტაციის აქტივობების	+	+	+	+	+	+	+	აქტივობების დამადასტურებებელი	ხარისხის მართვის მენეჯერი	-	-

დაგეგმვა და განხორციელება								დოკუმენტაცია	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი		
სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება და მონიტორინგი;	+	+	+	+	+	+	+	საწარმოო პრაქტიკის ხელშეკრულებები და მონიტორინგის დასკვნები	კოლეჯის დირექტორი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი	-	-
კოლეჯის ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდის პერმანენტული განახლება, სოციალური მედიის გამოყენება, მასმედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა;	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის ფაქტობრივი მდგომარეობა	ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	-	-
მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ვორქშოპების, სემინარების, კურსების მომზადება და წარმართვა	+	+	+	+	+	+	+	მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	-	-
	სტრატეგიული მიზანი №2 ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მუდმივად განავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, წაახალისებს სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვასა და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პრაქტიკას, ხელს შეუწყობს დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელებას, შექმნის ჰიბრიდული სწავლების, ორმაგი ხარისხის მინიჭების, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დანერგვის რეალურ მექანიზმებს;										

	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030				
ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი	-	-
ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	სერტიფიცირებული კონსულტანტის შერჩევა, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმები და გაცემული დოკუმენტები,	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის კოორდინატორი	საკანონმდებლო აქტის გამოცემის შესაძლო დაგვიანება	-
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ პროფესიული სტუდენტებისთვის, დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) ბიტეკის ,,BTEC”-ის საერთაშორისო აკრედიტაციით სასწავლო	+	+	+					დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) ბიტეკის ,,BTEC”-ის საერთაშორისო აკრედიტაციით სასწავლო პროცესის	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	-	-

პროცესის წარმართვა, მტკიცებულებების მომზადება და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისთვის ორმაგი ხარისხის მინიჭება								წარმართვა, მტკიცებულებების მომზადება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისთვის ორმაგი ხარისხის მინიჭება;	მთავარი ბუღალტერი		
დიდი ბრიტანეთის, ბიზნესისა და ტექნოლოგიური განათლების საბჭოს (BTEC - Business and Technology Education Council) ბიტეკის ,,BTEC"-ის საერთაშორისო აკრედიტაციით სასწავლო პროცესის წარმართვისა და ორმაგი ხარისხის მინიჭების უფლების განმეორებით მოპოვება			+	+	+	+	+	,,BTEC"-ის საერთაშორისო აკრედიტაციით სასწავლო პროცესის წარმართვისა და ორმაგი ხარისხის მინიჭების უფლების განმეორებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი მთავარი ბუღალტერი	-	-
	სტრატეგიული მიზანი №3 პერმანენტულად იზრუნებს კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არსებული პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებასა და ახლის მოზიდვაზე, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე, შემოსავლის მომტანი პროექტების იდენტიფიცირებასა და განხორციელებაზე, დამატებითი										

	შემოსავლების მოზიდვასა და ფინანსურ სტაბილურობაზე, არსებული ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეკრუტირებაზე, კოლეჯის საქმიანობაში პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის მოტივირებაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი უნარების ფართო სპექტრის განვითარებაზე, კარიერის დაგეგმვის, უფლებების დაცვის, არაფორმალური, გასართობი, შემეცნებითი, სპორტული და ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელებასა და სტუდენტური სერვისების მუდმივ გაუმჯობესებაზე;										
	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030				
კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, გაწეული საქმიანობის პერიოდული ანალიზი და შეფასება	+	+	+	+	+	+	+	ანალიზის დოკუმენტები, რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი	-	-
კოლეჯის ადამიანური რესურსის, მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელების და პრაქტიკის ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება	+	+	+	+	+	+	+	ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაცემული სერტიფიკატები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი	-	-
ავტორიზაციის სტანდარტების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ტექნოლოგიური პროგრესისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოების, კომპიუტერული ტექნიკის,	+	+	+	+	+	+	+	გაუმჯობესებული/განვითარებული ინფრასტრუქტურა, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები, კომპიუტერული ტექნიკა, უსაფრთხოების აღჭურვილობა,	კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შესყიდვების	-	-

უსაფრთხოების აღჭურვილობის, ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის სისტემების, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების გაუმჯობესება/განვითარება								ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის სისტემები, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	მენეჯერი მატერიალური რესურსების მენეჯერი მთავარი ბუღალტერი		
კოლეჯის ადმინისტრაციის, დამსაქმებლის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა, შედეგების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და მიღებული უკუკავშირიდან გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;	+	+	+	+	+	+	+	შევსებული კითხვარები, წარმოდგენილი ანგარიშები, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით გაცემული რეკომენდაციები განხორციელებული აქტივობები	ხარისხის მართვის მენეჯერი პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ადამიანური რესურსების მენეჯერი	-	-
პროფესიული განათლების მიღების და პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეკრუტირება/მოზიდვის მიზნით სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება	+	+	+	+	+	+	+	ქ. თბილისსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, პროფესიული განათლების მიღების და პროფესიული მომზადების პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეკრუტირება/მოზიდვის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების, ჩატარებული საინფორმაციო	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი პროგრამების ხელმძღვანელები სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის თეთრიწყაროსა და სამტრედიის რაიონებზე მიმაგრებული სპეციალისტები	-	-

								კამპანიების ამსახველი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია			
50 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლის აშენება და მოწყობა	+	+	+	+	+	+	+	აშენებული და მოწყობილი საერთო საცხოვრებელი 50 პროფესიულ სტუდენტზე	კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე , შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი ფინანსები	-
სპორტული მოედნის მოწყობა	+	+	+	+	+	+	+	შესაბამისად მოწყობილი სპორტული მოედანი	კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე , შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი ფინანსები	-
გადახურული სასწავლო პოლიგონის მოწყობა	+	+	+					შესაბამისად მოწყობილი	კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე , შესყიდვების მენეჯერი , მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი ფინანსები	-
სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირება და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს	+	+	+	+	+	+	+	სსსმ და შშმ პირთა პროფესიული განათლების მასწავლებლების კონსულტირებისთვის დახარჯული ფინანსები და	კოლეჯის დირექტორი მთავარი ბუღალტერი ხარისხის მართვის მენეჯერი სასწავლო	-	-

								სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს მხარდაჭერის ამსახველი დოკუმენტაცია	პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი		
პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ყველა საჭირო აღჭურვილობით და რესურსებით უზრუნველყოფა	+	+	+	+	+	+	+	ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესყიდვების და მასალა-ნედლეულის ხარჯვისა და უტილიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები შესყიდვების მენეჯერი მთავარი ბუღალტერი	-	-
შემოსავლის მომტანი ინოვაციური პროექტების იდენტიფიცირება და განხორციელება	+	+	+	+	+	+	+	პროექტების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მენეჯერი შესყიდვების მენეჯერი მთავარი ბუღალტერი	არასაკმარისი დაფინანსება	
კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივირება, სტუდენტური სერვისების განვითარება	+	+	+	+	+	+	+	კურიკულუმსგარეშე აქტივობების, დასაქმების, ჯილდოებისა და სხვა წამახალისებელი ქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის მენეჯერი შესყიდვების	არასაკმარისი დაფინანსება	

									მენეჯერი მთავარი ბუღალტერი		
პროფესიული სტუდენტებისთვის არაფორმალური, შემეცნებითი, გასართობი, სპორტული და ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმვა, განხორციელებასა და სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება;	+	+	+	+	+	+	+	დაგეგმილი და განხორციელებული შემეცნებითი, გასართობი, სპორტული და ექსტრაკურიკულური აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები და დოკუმენტაცია	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	-	-
	სტრატეგიული მიზანი №4 სასწავლო-სამეწარმეო, საერთაშორისო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით დანერგავს უახლეს ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს, აამოქმედებს ერთობლივ, გაცვლით და სასტიპენდიო პროგრამებს პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის.										
	წლები							შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	რისკები	
	2023-2024	2024-2025	2025-2026	2026-2027	2027-2028	2028-2029	2029-2030				
სასწავლო-სამეწარმეო, ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან, ინსტიტუციებთან, დაწესებულებებთან, კომპანიებთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უახლესი ტექნოლოგიების, საერთაშორისო კვალიფიცირებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა	+	+	+	+	+	+	+	უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საერთაშორისო კვალიფიკაციების დანერგვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი	-	-

ერთობლივი, გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამების ამოქმედება პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და მენეჯმენტისთვის	+	+	+	+	+	+	+	ერთობლივი, გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამები	კოლეჯის დირექტორი ხარისხის მართვის მენეჯერი	-	-

მისამართი: 0191, თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ.

E-mail: info.rtc2016@gmail.com